საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 129 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №2 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2016, 470230000.10.003.019066) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ.გ“ ქვეპუნქტი:

„ვ.გ) გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:

ი.ა) ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა;

ი.ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის შესყიდვა;".

2. მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის მე-2 მუხლის „ა", „ვ.ბ", „ვ.გ", „კ" და „ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. პროგრამის მე-2 მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხოლო პროგრამის მე-2 მუხლის „ზ", „ი.ბ" და „მ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.".

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით განისაზღვროს 18 041.7 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის	5 500.0

	ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	
2	დაბა ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	2 069.2
3	დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	1 231.2
4	პროგრამის ადმინისტრირება	45.0
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	5 000.0
6	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს:	1 965.5
	6.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	965.5
	6.2. ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის შესყიდვა	850.0
	6.3. გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	150.0
7	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბავშვთა კორპუსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	876.1
8	ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათაო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობა (თანადაფინანსება)	276.8
9	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური	971.2

	იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“:	
	9.1. ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა	428.9
	9.2. ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის შესყიდვა	542.3
10	სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის სატვირთო (დახურული ტიპის) მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის შეძენა	26.0
11	მაღალი გამავლობის ავტომანქანის რეანიმობილად გადაკეთებისა და მისი აღჭურვისათვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა	15.0
12	შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	65.7
	სულ	**18 041.7.“.**

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**